პრეზიდენტ
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

ღმერთის მიერ მოწმობილი, ხალხის მიერ მხარდაჭერილი

ჩვენ, როგორც ეკლესიის წევრებს, ხშირად გვიწვევენ მხარი დავუჭიროთ მათ, ვინც თავიანთ მოწოდებებში მსახურობენ. წლების წინ 18 წლის სტუდენტმა მიჩვენა, თუ რას ნიშნავს დაუჭირო მხარი უფლის მსახურებს. მე ეხლაც თავს დალოცვილად ვგრძნობ მისი თავმდაბალი მაგალითით.

მას ახალი დაწყებული ჰქონდა სწავლა კოლეჯში. ერთი წლის მონათლულიც არ იყო, როდესაც სახლიდან უნივერსიტეტში სასწავლებლად წამოვიდა. მე მაგ დროს მისი ეპისკოპოსი ვიყავი.

სასწავლო წლის დასაწყისში ეპისკოპოსის ოთახში შედგა ჩვენი ხანმოკლე გასაუბრება. მე იმ გასაუბრებიდან ცოტა რამ დამამახსოვრდა; ძირითადად ის, თუ როგორ უჭირდა მას ახალი გარემოს შეგუება, მაგრამ არასდროს არ დამავიწყდება ჩვენი მეორე გასაუბრება.

მან ჩემთან შეხვედრა მოინდომა. გამიკვირდა, როდესაც მან მითხრა: „შეიძლება, ერთად ვილოცოთ? მე ვიტყვი ლოცვას.“ მე ცოტა დამაკლდა მეთქვა, რომ უკვე ვილოცე და ალბათ თვითონაც უკვე ილოცა. მაგრამ ამის ნაცვლად დავთანხმდი.

მან დაიწყო ლოცვა დამოწმებით: „მე ვიცი, რომ ეპისკოპოსი ღმერთის მიერ არის არჩეული“. მან ღმერთს შესთხოვა ეკარნახა ჩემთვის, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას ღრმა სულიერი შედეგის შემთხვევაში. ახალგაზრდამ მიმართა ღმერთს, რომ თვითონ დარწმუნებული იყო — ეპისკოპოსმა უკვე იცოდა მისი გასაჭირი და მისცემდა საჭირო რჩევას.

მისი სიტყვების მოსმენისას გონებაში გარკვეულმა საშიშროებებმა გამიელვა. რჩევა იყო მარტივი მაგრამ ძალიან ნათელი: ყოველთვის ილოცე, დაიცავი მცნებები და არ გქონდეს არაფრის შიში.

იმ ახალგაზრდამ, ერთი წლის მონათლულმა, თავისი მაგალითით დამანახა, თუ რისი გაკეთება შეუძლია ღმერთს ხელმძღვანელის მიმართ, როდესაც მას რწმენითა და ლოცვით მხარს უჭერენ ისინი, ვისთვისაც ის წინამძღოლად იქნა არჩეული. იმ ახალგაზრდამ დამანახა ეკლესიაში საერთო თანხმობის კანონის ძალა (იხ. მოძღვრება და აღთქმები 26:2). მიუხედავად იმისა, რომ უფალი მოიხმობს მის მსახურებს გამოცხადებით, მათ შეუძლიათ ფუნქციონირება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებენ მხარდაჭერას მათგან, ვისი მსახურებისთვისაც ისინი არიან არჩეულნი.

ჩვენი მათთვის მხარდაჭერით ჩვენ ვიძლევით საზეიმო დაპირებებს. ჩვენ ვპირდებით, რომ ვილოცებთ უფლის მსახურებისთვის და რომ უფალი წაუძღვება მათ და გააძლიერებს (იხ. მოძღვრება და აღთქმები 93:51). ჩვენ ვდებთ ფიცს, რომ ჩვენთვის მათ მიერ მოცემულ რჩევებსა თუ ქმედებებში ვეცდებით დავინახოთ და ვიგრძნოთ ღმერთის შთაგონება (იხ. მოძღვრება და ართქმები 1:38).

საჭიროა ხშირად ვიმეოროთ გულში ეს დაპირება. თქვენი საკვირაო სკოლის მასწავლებელი ეცდება გასწავლოთ სულიწმინდის დახმარებით, მაგრამ მან, ისევე როგორც თქვენ, შესაძლოა შეცდომები დაუშვას კლასის წინაშე. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება უსმინოთ და ელოდოთ შთაგონების მომენტს. დროთა განმავლობაში შეცდომებს უფრო ნაკლებად შეამჩნევთ, იმის დასტურს კი, რომ ღმერთი ეხმარება მასწავლებელს, უფრო ხშირად შენიშნავთ.

როდესაც ჩვენ ხელს ვწევთ პიროვნების მხარდასაჭერად, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას იმაზედ, რომ ვითანამშრომლებთ ამ ადამიანთან ნებისმიერ საქმეში, რომელსაც მას უფალი დააკისრებს. როცა შვილები პატარები მყავდა, ჩემი მეუღლე აირჩიეს ბავშვების მასწავლებლად ჩვენს მეურვეობაში. მე არა მხოლოდ ხელი ავწიე მის მხარდასაჭერად, არამედ ვილოცე მისთვის და შემდეგ ვთხოვე ნებართვა დავხმარებოდი მას. ის მადლიერების გაკვეთილები, რომლებიც მე მივიღე ქალის მიმართ დაფასების და უფლის ბავშვების მიმართ სიყვარულის გამო, დღესაც ლოცავენ ჩემს ოჯახსა და ცხოვრებას.

მე ცოტა ხნის წინ ვესაუბრე იმ ახალგაზრდას, რომელმაც თავის ეპისკოპოსს მხარი დაუჭირა წლების წინ. მე მივხვდი, რომ უფალმა და ხალხმა მხარი დუჭირეს მას მის მოწოდებაში როგორც მისიონერს, პალოს პრეზიდენტსა და მამას. ჩვენი საუბრის დასასრულს მან თქვა: „მე მაინც ყოველდღე ვლოცულობ თქვენთვის.“

ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება ყოველდღე ვილოცოთ მისთვის, ვისაც ღმერთმა მოუხმო ჩვენთვის მსახურება. ჩვენ შეგვიძლია მადლობა გადავუხადოთ მას, ვინც დაგვლოცა თავის მსახურებით. ჩვენ შეგვიძლია ნაბიჯი გადავდგათ წინ, როდესაც მას, ვისაც ჩვენ მხარი დავუჭირეთ, დასჭირდება მოხალისეები.[1]

ისინი, ვინც მხარს უჭერენ უფლის მსახურებს მის სასუფეველში, მისი შეუდარებელი ძალის მხარდაჭერას მიიღებენ. ჩვენ ყველას გვჭირდება ეს დალოცვა.

შენიშვნა

1. იხილეთ *Teachings of Presidents of the Church: Joseph F. Smith* (1998), 211–12.

ამ მოწოდების სწავლება

ამ გზავნილის გაზიარების შემდეგ, წაიკითხეთ შემდეგი ციტატა: „უფალი თქვენ გაქცევთ იარაღად საკუთარ ხელში, თუკი თქვენ მორჩილი, ერთგული და ბეჯითი ხართ. . . . თქვენ მიიღებთ დამატებით ძალას მრევლის მხარდაჭერისა და თქვენი ხელთდასხმის შემდეგ“ (*Teaching, No Greater Call* [1999], 20). შეკრიბეთ ოჯახის წევრები მძიმე ნივთის ირგვლივ და სთხოვეთ რომელიმე ერთს მისი აწევა. ყოველ მცდელობაზე ოჯახის თითო წევრი დაამატეთ. იმსჯელეთ იმაზე, თუ რა ხდება, როდესაც ყველა ერთმანეთს ეხმარება. შეუსაბამეთ ეს მაგალითი პრეზიდენტ აირინგის რჩევას იმის თაობაზე, თუ როგორ შეგვიძლია პრაქტიკულად დავეხმაროთ სხვებს მათ მოწოდებებში.

ახალგაზრდები

მადლობა ჩემს საკვირაო სკოლის მასწვლებელს

სახელი არ მოიხსენიება

ჩემი საკვირაო სკოლის მოწაფეები ყოველთვის არ იჩენენ პატივისცემას. მე მიყვარს ყოველ კვირას გაკვეთილის მოსმენა, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ ზოგიერთს ჩემს კლასში მოსმენა არ სურთ. იმ დროს, როცა მასწავლებელი ცდილობს რაღაც გვასწავლოს, ისინი ერთმანეთში საუბრობენ ან ელექტრონულ თამაშებს თამაშობენ. სამწუხაროდ, ზოგჯერ მეც ვხდები ამ პრობლემის თანამონაწილე.

ერთხელ ჩვენ ჩვეულებრივზე უარესად ვიქცეოდით და გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა ტირილი დაიწყო, რადგან არავინ არ უსმენდა მას. როდესაც ჩვენ ოთახიდან გავდიოდით, მე ის შემეცოდა.

მომდევნო კვირას ჩვენმა საკვირაო სკოლის მასწავლებელმა გვითხრა, რომ მან კვირის განმავლობაში

ბევრი ილოცა რჩევისთვის და გადაწყვიტა ეჩვენებინა ჩვენთვის საეკლესიო ფილმი. ფილმი იესო ქრისტესა და მის მიერ ჩადენილ საოცრებებზე იყო.

როდესაც მე საღამოს ფილმზე ვფიქრობდი, რაღაც განსხვავებული ვიგრძენი. უეცრად მივხვდი, რომ ეს სულიწმინდა იყო, და ასე ძლიერად მე ის ჯერ არასდროს არ მიგრძვნია. იმწუთასვე მივიღე გადაწყვეტილება ჩემი ცხოვრება შემეცვალა იმგვარად, რომ დავმსგავსებოდი მაცხოვარს. მე მივხდი, რომ იმ დღეს საკვირაო სკოლაში მიღებულმა გამოცდილებამ ძალიან განამტკიცა ჩემი დამოწმება. მე ისეთი მადლობელი ვარ ჩემი საკვირაო სკოლის მასწავლებლის და ყველაფრისთვის, რასაც ის აკეთებს ჩვენი კლასისთვის ყოველ კვირას.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი
დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, June 2012. Georgian.* 10366 131

შინა მასწავლებელი— წმინდა დავალება

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

ჩვენ, როგორც შინა მასწავლებლებს, გვაკისრია მნიშვნელოვანი სულიერი მისია. „ეპისკოპოსი, რომელიც მეურვეობის ხელთდასხმული მწყემსია, ერთდროულად ვერ მიადევნებს თვალყურს უფლის ყოველ ცხვარს. ის დამოკიდებულია შთაგონებულ შინა მასწავლებლების დახმარებაზე.“[1] აუცილებელია ეძიებდე და იღებდე გამოცხადებას იმისვის, რომ დანიშნო ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან თითოეულ დაზე.

შთაგონება იწყება მაშინ, როცა მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტობა ლოცვითი განწყობით განიხილავს ინდივიდულალური პირებისა და ოჯახების საჭიროებებს. შემდეგ, ეპისკოპოსის თანხმობით, მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტობა იძლევა დავალებას ისე, რომ დაეხმაროს დებს იმის გააზრებაში, რომ შინა მასწავლებლობა მნიშვნელოვანი სულიერი ვალდებულებაა.[2]

შინა მასწავლებლები გულწრფელად ეცნობიან ყოველ დას და სიყვარულის გრძნობით ივსებიან მათ მიმართ, ეხმარებიან მათ რწმენის გაძლიერებაში და საჭიროებისამებრ უწევენ მათ სამსახურს. ისინი პირად შთაგონებას ეძებენ იმისთვის, რომ გაიგონ, თუ როგორ გაუწიონ საჭირო მიწიერი და სულიერი დახმარება ყოველ დას, რომელთანაც ისინი სტუმრობენ.[3]

„შინა მასწავლებლის პროგრამა ხდება უფლის სამუშაო მაშინ, როცა ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ადამიანებზე და არა პროცენტულ მაჩვენებლებზე. რეალურად, შინა მასწავლებლობა დაუსრულებლად გრძელდება. ის უფრო ცხოვრების სტილია, ვიდრე დავალება“.[4]

წმინდა წერილებიდან

მათე 22:36–40; იოანე 13:34–35; ალმა 37:6–7

ჩვენი ისტორიიდან

მოწყალების საზოგადოების მეორე გენერალური პრეზიდენტი, ელიზა რ. სნოუ გვასწავლიდა: „მე მასწავლებლის წოდება მიმაჩნია მაღალ და წმინდა წოდებად.“ მან შინა მასწავლებლებს მისცა რჩევა, სანამ შევიდოდნენ ვინმესთან სახლში აღვსილიყვნენ ღვთის სულით, სიბრძნით, თავმდაბლობით და სიყვარულით ისე, რომ მათ შეძლებოდათ დაეკმაყოფილებინათ ოჯახის არა მხოლოდ სულიერი, არამედ მიწიერი მოთხოვნილებებიც. მან თქვა: „შეიძლება თქვენ გაგიჩნდეთ სურვილი წარმოთქვათ ნუგეშისცემისა და დამშვიდების სიტყვები, ან და სიცივისგან აკანკალებული და გულში ბავშვივით ჩაიხუტოთ და გაათბოთ ის.“[5]

როდესაც ჩვენ რწმენით ვხელმძღვანელობთ ისე, როგორც პირველი მოწყალების საზოგადოების დები, წმინდა სული ჩვენი მეგზური იქნება და შთაგვაგონებს, თუ როგორ დავეხმაროთ ყოველ დას, რომელთანაც ვსტუმრობთ. „მოდით ძალის ნაცვლად სიბრძნე ვეძიოთ“, -განაცხადა და სნოუმ, „და ამით ჩვენ მოვიპოვებთ სიბრძნის გამომჟღავნების ყველა საჭირო ძალას.“[6]

მენიმშვნები

1. ჯული ბ. ბექი, “Relief Society: A Sacred Work,” *Liahona,* ნოემბერი 2009, 114.
2. იხილეთ *Handbook 2: Administering the Church* (2010), 9.5; 9.5.2.
3. იხილეთ *Handbook 2,* 9.5.1.
4. ჯული ბ. ბექი, *Liahona,* ნოემბერი 2009, 114.
5. ელიზა რ. სნოუ, Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society (2011), 108.
6. ელიზა რ. სნოუ, *Daughters in My Kingdom,*45–46.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია გავაუმ-ჯობესო ჩემი, როგორც შინა მასწავლებლის, უნარი შინა მასწავლებლის მნიშვნელოვან ვალდებულებაში?

2. როგორც შინა მასწავლებელს, როგორ შემიძლია დავეხმარო დებს მათი შინა მასწავლებლის მოვალეობების შესრულებაში?

დამატებითი ინფორმაციის-თვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, June 2012.* Georgian. 10366 131